ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომის

ო ქ მ ი N 23

22 დეკემბერი, 2023 წელი, 13:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქი ქუთაისი,რუსთაველის გამზირი N3,
ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის მე–2
სართულზე არსებული საკონფერენციო დარბაზი

ფრაქციის სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: ნიჟარაძე მარეხი, შენგელია ირაკლი, მხეიძე დიმიტრი, ჩიხლაძე მანანა, კოსტავა მაგდა, მახარაძე ბაქარი, მამასახლისი ზაქრო, რიჟამაძე მამუკა, კოპალეიშვილი ამირანი, ნადირაძე თემური, გიორგაძე მიხეილი.

სულ ესწრებოდა: 11წევრი.

არ ესწრებოდნენ: ბასილაძე გია, ლილუაშვილი პაატა, ხამაშურიძე ბესიკი,ბიბილეიშვილი ჯემალი, სიმონიძე მაია, ჯუღელი თეა.

სულ: 6 წევრი.

სხდომაში მონაწილეობდნენ : საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი **ნიშნიანიძე დავითი**;

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მარეხი ნიჟარაძემ.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს**

ფრაქცია „ქართული ოცნების“

N23 სხდომის დღის

წესრიგის პროექტის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ N23 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის თაობაზე

ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნების “თავმჯდომარე

დავით ნიშნიანიძე
საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო
შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ ფრაქციის N23 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის საკითხი- **„ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა, საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა ბატონმა **დავით ნიშნიანიძემ.**

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი **დავით ნიშნიანიძე: „** 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია საკრებულოს წინაშე, რაც

თქვენთვის უკვე ცნობილია. მინდა მოკლედ ვისაუბრო 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

შემოსავლები:

გადასახადები ქონებაზე 12 მილიონი ლარი,

დამატებული ღირებულების გადასახადი 60 310 800 ლარი,

გრანტები 2 241 200 ლარი,

დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები 800 000 ლარი,

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1 100 000 ლარი,

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 4 200 000 ლარი,

სანქციები (ჯარიმები და საურავები) 5 560 000 ლარი,

შემოსულობა არაფინანსური აქტივებიდან 15 000 000 ლარი.

ხარჯები:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 23 480 600 ლარი

ინფრასტრუქტურის განვითარება 23 098 000 ლარი

დასუფთავება და გარემოს დაცვა 11 015 000 ლარი

განათლება 21 398 000 ლარი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 25 691 500 ლარი

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 8 857 600 ლარი

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 1 970 000 ლარი

სულ 2024 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 115 510 700 ლარით''

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მარეხ ნიჟარაძემ** მადლობა გადაუხადა აღმასრულებელ ორგანოს, 2024 წლის ბიუჯეტის ახალ პროექტში, ფრაქციის რეკომენდაციებისა და ინიციატივების გათვალისწინებისათვის.

დაისვა შეკითხვები,გაკეთდა განმარტებები:

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' **წევრი ბაქარ მახარაძე:** ,,მინდა წარმოგიდგინოთ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ შემუშავებული შენიშვნების ჩამონათვალი 2024წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით

1. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გათვალისწინებულ იქნას დაფინანსება შემდეგი მუხლების მიხედვით:
   - ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
   - მრავალბინიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია;
   - სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძებები;
2. საჭიროდ მივიჩნევთ, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შემდეგ მუხლებში გაიზარდოს დაფინანსება:
   - გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება;
   - სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია;
   - მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა-განვითარება.
3. მიზანშეწონილად მიგვაჩნია 2024 წლის ბიუჯეტმა გაითვალისწინოს შემდეგი ხარჯები:
   - მისასვლელი გზებისა და სასულეების მოწყობისათვის;
   - სპორტული მოედნებისა და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოვლა-პატრონობისთვის;
   - მესხიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის გვერდითი შესასვლელის რეაბილიტაციისათვის;
   - სპორტულ-საგანმანათლებლო ააიპ-ებისათვის სპორტული ინვენტარის შეძენა;
   - სპეცსერვისების დამლაგებლებისათვის (270 კაცი) მათი სამსახურებრივი გადაადგილების მიზნით სამგზავრო შეღავათების დაწესებისათვის;
4. მიგვაჩნია, რომ გაიზარდოს შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე;
5. მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით განსაზღვრულია 250 ათასი ლარი, რაც 30 ათასი ლარით ნაკლებია წლევანდელზე. „მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში“ დაემატოს პუნქტი, რომლის თანახმადაც სამსახურშივე შეიქმნება კომისია, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოპოვების შემდეგ თვითონ იმსჯელებს მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, რაც მოქალაქეებისათვის გაზრდის პროგრამის შედეგიანობას და ოპერატიულობას;
6. ბიუჯეტის პროექტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებაზე აუცილებლად მიგვაჩნია გათვალისწინებულ იქნას დაფინანსება შემდეგი მუხლების მიხედვით:
   - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა;
   - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია;
   - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (შიდა სამუშაოების გათვალისწინებით)
   - სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია.
7. შესრულებული სამუშაოების სირთულის, მაღალი კვალიფიკაციის და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, შესაბამისი კოეფიციენტების გამოყენებით, მიზანშეწონილია გადაიხედოს სახელფასო სარგოები ზოგიერთ პოზიციაზე და შესაბამისი ხარჯები გაითვალისწინოს ბიუჯეტმა.
8. მიზანშეწონილად მიგვაჩნია 2024 წლის ბიუჯეტმა გაითვალისწინოს იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დაფინანსების ზრდა 185 ათასი

ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში. აღნიშნული ხარჯის გაზრდის საჭიროება გამოწვეულია დაზიანებული ფასადის შეკეთების და შენობის ნულოვანი, პირველი და მეორე სართულის რეკონსტრუქციის აუცილებლობით. აღნიშნულ სივრცეებში დაგეგმილია ე.წ „ეთნოლაბორატორია-იმერული ესკიზები"-სა და საგამოფენო დარბაზის მოწყობა (პროექტი „ეთნოლაბორატორია-იმერული ესკიზები" ნაწილობრივ დაფინანსებულია დონორი ორგანიზიის GIZ-ის მიერ. პარტნიორ ორგანიზაციას აღებული აქვს ვალდებულება შეისყიდოს სახელოსნოებისთვის საჭირო მანქნანა-დანადგარები და აღჭურვილობა).

9. თვითმმართველობის სხდომების ტრანსლაციისას იმ მოწყვლადი ჯგუფისათვის, რომელიც საჭიროებს შინაარსის გაგებას ჟესტური ენით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესაბამისმა მაუწყებლობამ დანერგოს სურდო თარგმანი, რისთვისაც აუცილებელი იქნება მისთვის დაფინანსების შესაბამისი სახსრების გამოძებნა;
10. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტში მაქსიმალურად აისახოს მთავრობის დადგენილებებით ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის გამოყოფილი თანხები.
11. დაკონკრეტების მიზნით მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტის მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„**ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადებისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 101–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად გამოყოფილია 100.0 ათასი ლარი, რაც მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯების მუხლით განსაზღვრული შრომის ანაზღაურების ხარჯების 1,2%–ს შეადგენს".
12. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების" ღვარსადენების მოწყობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, ღვარსადენის მოწყობისა და რეაბილიტაციის ნორმატივი გაორმაგდეს 30 მეტრიდან 60 მეტრამდე, რისთვისაც საჭირო იქნება დამატებითი ასიგნებების გამოყოფა;
13. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერის პროგრამის ანოტაციის ტექსტში მიზანშეწონილია დაემატოს გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერება."

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' წევრი, **მამუკა რიჟამაძე:** ,,მინდა შემოვიდე შემდეგი წინადადებით, რომ მივიღოთ გადაწყვეტილება ნაგვის შემკრების ადგილების დაკანონებაზე.

რუსთაველის ქუჩა (პრესის სახლი) გავხადოთ ცალმხრივი, გავააქტიუროთ ბარათაშვილის ქუჩა''

ფრაქციის თავმჯდომარე ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** ,,მივესალმები თქვენს აქტიურ მონაწილეობას აღნიშნული საკითხის განხილვაში, ფრაქცია მზად არის გაითვალისწინოს თქვენი წინადადება და რეკომენდაციის სახით მიეწოდოს აღმასრულებელ ორგანოს.''

ფრაქციის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სხდომაზე წარმოდგენილ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი, საკრებულოს სხდომაზე, წარმოდგენილი იქნეს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" ოცდამესამე სხდომამ მუშაობა დაასრულა და ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე მ. ნიჟარაძე